

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სოფელ  
ცხემლისხიდის მაჟორიტარი დეპუტატის ლალი სიჭინავას

ანგარიში

2015 წლის 5 იანვრიდან დღემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

მინდა კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ მადლობა იმ დიდი  
ნდობისთვის, რომელიც 2014 წლის 5 ივნისის არჩევნებზე გამოხატეთ. იმ  
25 წლის განმავლობაში, რომელიც აქ, თქვენს გვერდით გავატარეთ ქვენი  
კეთილგანწყობა და სიყვარული არ მომკლებია. ჩემი ცხოვრების ყველაზე  
მძიმე წუთებშიც.. ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ  
სიყვარულისთვის სიყვარულით გიპასუხოთ და მთელი ეს წლები თქვენს  
სამსახურში ვარ როგორც რძალი, მეზობელი, მასწავლებელი, მეგობარი,  
დირექტორი... მე არასდროს მომიტყუებიახართ, ვიცი გჯერათ ჩემი,  
მენდობით ... სწორედ ჩემი და ჩემი ოჯახის სოფლისადმი სიყვარულმა  
და ერთგულებამ არჩევანი ჩემზე გაგაკეთებინათ, რომ ვყოფილიყავი  
თქვენი თითოეულის ხმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოში. მერწმუნეთ, არცერთი წუთით არ დამვიწყებია ჩემი  
ვალდებულება, კარგად ვიცი ყველა ის პრობლემა, რაც ჩვენს თემს-  
ცხემლისხიდსა და ბაღდადს აწუხებს.

ვფიქრობ და ვამბობ -, ნურავინ დაამადლებს თავსა და საქმეს  
სამშობლოს... ხელისუფლებაც და დიდებაც, პრივილეგიებიც ისეთივე  
წარმავალია, როგორც სხვა ყველაფერი ცისა და ქვემე.. მხოლოდ, თუ კაცი  
ხარ, ისე იშრომე, ისე იცხოვრე, რომ გარდაცვალების შემდეგ შენი ჯაფა  
ღვაწლად შეაფასონ თაობებმა“- ეს არის ჩემი დევიზი ცხოვრებაში და ამ  
პრინციპით ჩავები საკრებულოს საქმიანობაშიც.

2014 წლის 2 აგვისტოდან ვარ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
წარმომადგენლობით ორგანოში საკრებულოს წევრი, „ საფინანსო-  
საბიუჯეტო“ და „ განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ  
საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა“ კომისიების

წევრი, ოზურგეთის გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საკრებულოს უფლებამოსილებიდან დღემდე მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 21 სხდომაში, სადაც მიღებულ იქნა 98 განკარგულება, დამტკიცდა 41 დადგენილება.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების შესაბამისად, თვეში ორჯერ, თუმცა ნებისმიერ დროს, საჭიროების მიხედვითაც, ვხვდებოდი და ვიღებდი ჩემს ამომრჩევლებს. რომლებიც თავიანთი პრობლემების შესახებ გულდიად საუბრობდნენ. არცერთი მათი სატკივარი უყურადღებოდ არ დამიტოვებია. საქმის კურსში ვაყენებდი როგორც საკანამდებლო, ასევე აღმასრულებელ ორგანოებს. მოსახლეობასთან შეხვედრისას ძირითადად წამოჭრილი პრობლემები ეხებოდა სამედიცინო მომსახურებაში დახმარებას, შიდა გზების მოწესრიგებას, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროექტში ცვლილების შეტანას, ელექტრო გადაამცემი ხაზების, სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგებას, გაზიფიცირების მოგვარებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალურ პრობლემას, სოფლის ცენტრების მოწესრიგებას, გარე განათების მოგვარებას, ნაგვის ურნების დამატებას. კომუნიკაციის უნარი მეხმარება მოვუსმინო, გავიზიარო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით და თანადგომით გადავწყვიტო მათი პრობლემები. მტკივნეულია უსმინო ადამიანებს, რომელთაც წამლის ფული და ექიმთან მისვლის საშუალება არაქვთ, ამათი ყველაზე მეტად მესმის, საკუთარ თავს წარმოვიდგენ ხოლმე, ვცდილობ გავამხნევო, ვანუგეშო და დახმარება აღმოვუჩინო. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამიდან დახმარება გაეწია 63 მოქალაქეს, თითოეულს 150 ლარი, სულ 3150 ლარი. სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია 20 მოქალაქეს, სულ 6268 ლარი. იძულებით გადაადგილებული პირების დახმარების პროგრამიდან 1 მოქალაქეს

თანხით 400ლარი,ვეტერანთა ფულადი წახალისების პროგრამიდან 4 ოჯახს თანხით 1050ლარი,უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამიდან 1მოქალაქეს 200ლარით, ხანდაზმული(100 და მეტი წლის)პირების დახმარების პროგრამიდან 2მოქალაქეს თანხით 600ლარი. მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამიდან 7 მოქალაქეს თანხით1047ლარი,საგარანტიო სამედიცინო მომსახურების პროგრამიდან 2 მოქალაქეს, თანხით 743ლარი,დიალეზის პროგრამით სარგებლობს 1მოქალაქე. 8 მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახს გადეცა სასჩუქრე ამანათები-125ლარის სურსათის სახით.

განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები: მოხდა მდინარე ნატანებზე კალაპოტის გასწორებაზოვნება, 718327ლარის ღირებულებით. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაზე დაიხარჯა 107056ლარი, დაიგო ბეტონისსაფარიანი გზა 2 უბანში(ზეგანი 150X3მ,ზემო ბაღდადი120X3მ,) მოხდა თავკობულისა და ცხემლისხიდის ხიდის რეაბილიტაცია .

სოფლის მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამუშაოები: ცხემლისხიდის ცენტრის კეთილმოწყობა, საბავშვო ატრაქციონის შექმნა,წყალსადენის მოსაწყობად მასალების შექმნა, გარე განათების მოწყობა,საბავშვო ბაღში ლამინატის დაგება.აღნიშნულ სამუშაოებზე დაიხარჯა ცხემლისხიდში 17095ლარი , უჩხუბზე 8967ლარი,ბაღდადზე18611ლარი.

სამშენებლო მასალებით დახმარება გაეწია--- ოჯახს.

ბაღდადის ტერიტორიაზე შენდება ახალი, თანამედროვე სტილის საბავშვო ბაღი . 405655 ლარის ღირებულების, სადაც დასაქმებულია სოფლის მოსახლეობა.რომელიც აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით. გადამზადდება თანამშრომლები. რაოდენ საამაყოა, რომ იმ სიახლეებს და გამოწვევებს, რასაც გეგმავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით, ჩვენი სოფელი თამამად შეხვდება და ჩვენს

მომავალ თაობას ექნება საშუალება ახალ კეთილმოწყობილ გარემოში, არაჩვეულებრივ ეზოში, ჯანსაღი საკვებითა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებით ეზიაროს განათლების მიღების პირველ ნაბიჯებს.

გაიხსნა სოფლის სიმაყის, არაჩვეულებრივი ადამიანის ფოლკლორისტ გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმი, დასაქმებულია 3 ადამიანი. მუზეუმშიმოეწყო შესანიშნავი გამოფეა-ჩვენი თანასოფლელის მანანა სიხარულიძის ხელნაკეთი ნივთებისა.

მიუხედავად ჩამოთვლილი აქტივობებისა სოფელში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სოციალური მდგომარეობა გასაუმჯობესებელია, ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელია.გაზიფიცირება მოსაგვარებელია.ელექტროგადამცემი ხაზები მოსაწესრიგებელია. მინდა აღვნიშნო, რომ საკრებულოში მიღებული საკითხების კომისიებში განხილვის, თუ საკრებულოს სხდომებზე გადაწყვეტილების მიღებისას ჩემს პოზიციას ყოველთვის ღიად ვაფიქსირებ. ვფიქრობ, ვარ სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ალბათ ამიტომაც დამასახელეს და მხარი დამიჭირეს ვყოფილიყავი უსახლკარო და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის საცხოვრისით უზრუნველყოფის მუდმივმოქმედ კომისიაში. აღნიშნული პროექტით 90 ბენეფიციარი მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში გარემონტებულ და კეთილმოწყობილ კორპუსში იცხოვრებს.ამ პროექტით რამდენიმე ჩვენი თანასოფლელიც ისარგებლებს. მე ბედნიერი ვარ,რომ ამ ადამიანებისთვის სიხარულის მინიჭების თანამონაწილეცხდები.

აქტიურად ვარ ჩართული გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში .სადაც მოქალაქეებისათვის ბევრი სასაიკეთო და მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა-გადაწყვეტა ხდება. ხშირად მიწევს სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობა,სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლებთან , სხვა ქვეყნის აქტიურ და გამოცდილ ადამიანებთან შეხვედრა. სადაც მიღებულ ცოდნას აქტიურად ვიყენებ

საქმიანობაში. ამ საბჭოს მიერ მოხდა ჩემი ინიციატივის „კიბო განაჩენი არაა!“ – პროექტის სახით ჩამოყალიბება, რომელიც ონკო-პაციენტების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას და მათ საზოგადოებასთან ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება, თემა აქტუალური გახდა და 2016 წელსაც განაგრძობს მუშაობას. წელს დაემატა სკრინინგის პროგრამა. ამ კატეგორიის ბენეფიციარებთან შეხვედრა, რომლებიც, სამწუხაროდ, არცთუ ისე ცოტაა, საუბარი და დახმარების გაწევა უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ როცა ვხედავ, როგორ იმედიანად მშორდებიან და ცხოვრების ხალისი უბრუნდებათ, ხელახლა ვიბადები და ვგრძნობ პროექტის აუცილებლობას და მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პროექტის განხორციელების შესაძლებლობა მომცა.

არსებულმა და შეძენილმა უნარ-ჩვევებმა მომცა საშუალება მიმელო აქტიური მონაწილეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემუშავებაში, განხილვასა და მიღებაში. მხარი დავუჭირე, რამეთუ ყველა ის პრობლემა რომელიც ჩვენს საზოგადოებას აწუხებს, 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში სწორადაა განსაზღვრული, პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

როგორც საკრებულოს წევრმა ქალმა და ოზურგეთის გენდერული საბჭოს წევრი მონაწილეობა მივიღე „საკრებულოს წევრ ქალთა მესამე ფორუმში“. რომელიც დაფუძნდა 2013 წლის მაისში და აერთიანებს ადგილობრივ დონეზე არჩეულ ყველა ქალბატონს. ფორუმის მუშაობის ფარგლებში შვხვდით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, საქართველოს განათლებისა და განვითარების მინისტრის, საქართველოს სოფლის მეურნეობის

მინისტრის მოადგილეებს. ფორუმზე, როგორც ყოველთვის, აქტიური იყო ოზურგეთის დელეგაცია, (ლელა ნაცვალაძე, ლელა საჯაია, როზეტა სკამპოჩაიშვილი, ინგა დუმბაძე)

რომ იცოდეთ, როგორ მტკივა, როცა ადამიანს ვერ ვეხმარები,... ყველა გაჭირვებულს მინდა დავეხმარო, სული და გული გავუთბო... დროთა განმავლობაში ეგება ყველას გაგწვდეთ და მოგხედოთ... მინდა ვიყვირო ხოლმე, რომ მართლა გულის გულში განვიცდი ყველას გასაჭირს... თუ ვინმეს იმედები გაგიცრუეთ, შემინდეთ, გთხოვთ... ჩემთვის ეს უმძიმესი ჯვარია და ვინძლო, თქვენი დიდსულოვანი მიტევებით და თანადგომით, ბოლომდე ღირსეულად მიმატანინოს უფალმა!

გეუბნებოდით, ვიქნებოდი თქვენი ინტერესების დამცველი და ვარ კიდევ, არააქვს მნიშვნელობა, დეპუტატის მანდატი მექნება თუ არა, მე თქვენს სამსახურში ვიყავი, ვარ და ვიქნები, სანამ ფიზიკურად შემეძლება... ჩვენ ერთად, ერთმანეთის გვერდში დგომით შეუძლებელს შევძლებთ...

თქვენ კი ყველას აქ მყოფთ და ყველა თანასოფელს, რომელთა სიტბოს მუდამ ვგრძნობ, შემიდლია ალაღად გითხრათ, რომ სიყვარულივით მიყვარხხართ!!!